დადგენილება № 125/2021 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 125/2021
თარიღი: 12 ნოემბერი, 2021 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ნოემბრის № 52 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 52),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი წარმოდგენილი დანართი № 1-ის სახით;
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს;
3. დადგენილება გადაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კვლევის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ორივე ფაკულტეტის დეკანს, ორივე ფაკულტეტის პროგრამებისა და მიმართულებათა ხელმძღვანელებს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი № 1

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის
12 ნოემბრის № 125/2021 დადგენილებით

აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა

პრეამბულა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (შემდეგში კონსერვატორია) აღიარებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, რაც წარმოადგენს ურთიერთ ნდობაზე, პატივისცემასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ტრადიციის განუყოფელ ნაწილს.

სტუდენტები, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, როგორც კონსერვატორიის საზოგადოების წევრები, პასუხისმგებელნი არიან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასა და ახალგაზრდა თაობებში მათ გაზიარებაზე.

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს და დაარეგულიროს აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხები, აკადემიური გადაცდომა ფორმები და მათზე რეაგირების პროპორციული და სამართლიანი მექანიზმები. ასევე, განსაზღვროს აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდამჭერ პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები და ანგარიშვალდებულების ფორმა;
2. წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება კონსერვატორიის საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. აკადემიური გადაცდომა - სხვისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პროდუქტის სრულად ან ნაწილობრივ მისაკუთრების მიზნით განხორციელებული ქმედება; საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის, როგორც ორიგინალური ტექსტის განმეორებით გამოყენება მითითების გარეშე. ეთიკური ნორმების, კვლევის მეთოდოლოგიის (რაოდენობრივი და თვისებრივი) გვერდის ავლით მონაცემების მოპოვება და/ან შეგროვება.
2. აკადემიური კეთილსინდისიერება - პატიოსანი, სამართლიანი და პასუხისმგებლიანი პროფესიული საქმიანობა როგორც კონსერვატორიის საზოგადოებაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც გამორიცხავს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული აკადემიური გადაცდომის ფორმებს;

3. მსგავსება - სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილ ინტელექტუალურ-შემოქმედებით ნაშრომს შორის არსებული მსგავსება (სიტყვა-სიტყვითი ან აზრობრივი). მსგავსება ითვლება აკადემიურ გადაცდომად იმ შემთხვევაში თუ: ა) შესრულებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის გარეშე (არ არის ციტირებული, პერიფრაზი არ არის შესაბამისად დამოწმებული და სხვ.); ბ) შესრულებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, თუმც იმდენად დიდი მოცულობით არის წარმოდგენილი, რომ ფასდება, როგორც კომპილაციური ნაშრომი.
4. კომპილაციური ნაშრომი - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით შესრულებული ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევას ან/და დასკვნებს. კომპილაციური ნაშრომის თავიდან აცილების მიზნით სადოქტორო საფეხურზე დაშვებულია აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით წარმოდგენილ მსგავსებათა 40%, სამაგისტრო საფეხურზე - 50%, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე 60%.
5. პლაგიატი - აკადემიური გადაცდომის ფორმა, რომელიც გულისხმობს საკუთარ ინტელექტუალურ შემოქმედებად წარმოჩენის მიზნით სხვისი გამოქვეყნებული და/ან გამოუქვეყნებელი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პროდუქტის (ნაშრომი, კვლევა, გამოგონება, აუდიო მასალა, ვიზუალური მასალა, სტატისტიკური ან სხვა მონაცემი და ა.შ.) სრულ ან ნაწილობრივ გამოყენებას წყაროს მითითების გარეშე;
6. თვითპლაგიატი - აკადემიური გადაცდომის ფორმა, რომელიც გულისხმობს საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პროდუქტის (ნაშრომი, კვლევა, გამოგონება, აუდიო მასალა, ვიზუალური მასალა, სტატისტიკური ან სხვა მონაცემი და ა.შ.) ხელახალ გამოყენებას წყაროს მითითების გარეშე;
7. უნებლიე პლაგიატი - აკადემიური გადაცდომის ფორმა, რომელიც გულისხმობს საკუთარი ან სხვისი უკვე გამოქვეყნებული და/ან გამოუქვეყნებელი შრომის, კვლევის, გამოგონების, მონაცემის, აუდიო, ვიზუალური მასალის და ა.შ. წყაროს მითითების გარეშე გამოყენებას დაუდევრობით ან ინფორმაციის არ ქონით;
8. ფაბრიკაცია - ციტატის, ინფორმაციისა და ამა თუ იმ მონაცემის შეთხზვა-გამოგონება; ასევე, მონაცემებში და წყაროებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიზანმიმართულად არასწორად დამუშავება სასურველი დასკვნების მისაღებად;
9. მაგიერმწერის (ინგ. Ghostwriter) დახმარება - თანხის ან სხვა ინტერესის სანაცვლოდ სხვის მიერ შექმნილი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პროდუქტის (ნაშრომი, კვლევა, გამოგონება, აუდიო მასალა, ვიზუალური მასალა, სტატისტიკური ან სხვა მონაცემი და ა.შ.) გამოყენება;
10. კონფიდენციალობის დარღვევა - სხვისი პირადი მონაცემების, შემოქმედებით-ინტელექტუალური შრომის შედეგად დაცული ინფორმაციის გამოყენება შესაბამისი თანხმობის გარეშე;

მუხლი 3. აკადემიურ გადაცდომათა პრევენცია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტი კონსერვატორიის სივრცეში სამეცნიერო/საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას, ასევე *აკადემიური წერის* სასწავლო კურსის ფარგლებში დავალებათა შესრულებისას (სტუდენტის შემთხვევაში) ხელმძღვანელობს APA (*American Physiological Association*) სტილის მოთხოვნებით.
2. წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-3-მე-8 პუნქტებით განსაზღვრული აკადემიური გადაცდომის პრევენციის მიზნით კონსერვატორიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციისა და APA სტილის სახელმძღვანელოს გაზიარებას, ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას.
3. აკადემიური გადაცდომების პრევენციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, კონსერვატორიის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს კურიკულუმს გარე აქტივობებს/ ჯგუფურ და/ან ინდივიდუალურ ტრეინინგებს;
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი ინფორმირებულობის დონის ამაღლებისა და აკადემიურ გადაცდომათა პრევენციის მიზნით ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრას სტუდენტებთან აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის, მისი დაუშვებლობისა და მათზე რეაგირების პროცედურების შესახებ.
5. ადამინური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირებას აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული წესების შესახებ;
6. მე-2 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პლაგიატის ფორმების პრევენციის მიზნით კონსერვატორიის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პროდუქტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეშვეობით შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემით – Ouriginal-ით გადამოწმებას გონივრული ვადების გათვალისწინებით (იხ. დანართი №1 *პლაგიატზე შემოწმების წესი*);
7. კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემით – Ouriginal გადამოწმებას ექვემდებარება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის საკვალიფიკაციო ნაშრომები, კონსერვატორიის ეგიდით განხორციელებული სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სამეცნიერო გამოცემები და სხვ.

8. აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და/ან სადოქტორო საფეხურებზე სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ჩართოს წერითი ნაშრომის კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემით – Ouriginal-ით შემოწმებისა და შეფასების მეთოდი.

მუხლი 4. სტუდენტთა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტზე რეაგირების მექანიზმი

1. სტუდენტის მიერ გამოვლენილ აკადემიურ გადაცდომებზე მოქმედებს ორი კატეგორიის სანქცია:
   - **I კატეგორიის სანქცია** - გამოიყენება მხოლოდ საბაკალავრო საფეხურზე მე-2 მუხლით გათვალისწინებული აკადემიური გადაცდომების პირველ ჯერზე დადასტურების შემთხვევაში, რომელთა მიზეზად დგინდება სტუდენტის ინფორმატიულობის დეფიციტი და/ან უნებლიობა. აღნიშნული კატეგორიის ფარგლებში სტუდენტს მიეცემა შენიშვნა, შესრულებული ნაშრომი ფასდება 0 ქულით და ეძლევა საშუალება გონივრული ვადების გათვალისწინებით ნაშრომი გადაამუშავოს და წარადგინოს ხელმეორედ; ხელმეორედ წარდგენილი ნაშრომის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება წინარე ნაშრომის ქულა.
   - **II კატეგორიის სანქცია** - გამოიყენება მე-2 მუხლით გათვალისწინებული აკადემიური გადაცდომების პირველ ან მეორე ჯერზე დაფიქსირებისა და დადასტურების შემთხვევაში, რომლთა მიზეზს არ წარმოადგენს ცოდნის დეფიციტი და/ან უნებლიობა. აღნიშნული კატეგორიის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი სანქციებიდან ერთ-ერთი ან სანქციების ერთობლიობა შესაბამისი დათქმით: ა) სტუდენტის ნაშრომი შეფასდეს 0 ქულით და მიეცეს შენიშვნა; ბ) სტუდენტს საშუალება მიეცეს ნაშრომი გადაამუშავოს და წარადგინოს ხელმეორედ; ხელმეორედ წარდგენილი ნაშრომის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება წინარე ნაშრომის ქულა; გ) სტუდენტს საშუალება მიეცეს სასწავლო/კვლევითი კომპონენტი გაიაროს ხელმეორედ; დ) სტუდენტს დროებით შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი; ე) აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმა; ვ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2. სტუდენტის მხრიდან აკადემიურ გადაცდომათა დაფიქსირების შემთხვევაში სასწავლო/ კვლევითი კომპონენტის ლექტორი/საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულნი არიან გამართონ ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტთან აკადემიური გადაცდომის საფუძველის შესწავლის მიზნით;
3. ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრის საფუძველზე სასწავლო/კვლევითი კომპონენტის ლექტორი/საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს დასკვნას სანქციის განსაზღვრის შესახებ, რომელსაც აცნობს სტუდენტს და იმ შემთხვევაში თუ: ა) აკადემიური გადაცდომა დაფიქსირებულია საკვალიფიკაციო ნაშრომში, დასკვნა სანქციის შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს; ბ) აკადემიური გადაცდომა დაფიქსირებულია *აკადემიური წერის* ან სხვა რომელიმე სასწავლო კურსის ფარგლებში, დასკვნა სანქციის შესახებ მიეწოდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სტუდენტის პირად საქმეში შენახვის მიზნით;

4. აკადემიური გადაცდომის საკითხის განხილვისას სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს ფაკულტეტის საბჭოს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები;

5. სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაზე პასუხისმგებლობას იზიარებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია სულ მცირე 1 თვით ადრე საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და/ან პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინო განცხადება სტუდენტის ნაშრომის ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებისა და ნაშრომში პლაგიატის არ არსებობის ან არსებობის შესახებ (იხ. დანართი 3). ნაშრომში პლაგიატის არსებობის შემთხვევაში საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი განცხადებაში განსაზღვრავს დაცვამდე ხარვეზის გამოსწორების გონივრულ ვადას. იმ შემთხვევაში თუ ხარვეზის გამოსწორება ვერ ხერხდება დაცვამდე პერიოდში, ხელმძღვანელი უფლებამოსილია არ დაუშვას სტუდენტი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე.

მუხლი 5. პერსონალის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტზე რეაგირების მექანიზმი

1. აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით განსაზღვრული გადაცდომების დადასტურების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი სანქციები: 1) შენიშვნა; 2) საყვედური; 3) სამეცნიერო ნაშრომის კონსერვატორიის სახელით გამოქვეყნებაზე უარის თქმა; 4) აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმა; 5) აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა (იმ შემთხვევაში თუ მინიჭებულია კონსერვატორიის მიერ); 6) აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა; 7) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;
2. აკადემიური გადაცდომის შემთხვევაზე განაცხადი შესაძლოა გაკეთდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დადგენის პროცედურების საფუძველზე (ექსპერტთა/რეცენზენტთა დასკვნები, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება და სხვ.), ასევე სხვა, კონსერვატორიის გარეთ გარემოში წარმოჩენილი საეჭვო ფაქტორების გათვალისწინებით;
3. განცხადება უნდა მოიცავდეს განმარტებას აკადემიური გადაცდომის შესახებ და ახლდეს შესაბამისი მტკიცებულებები;
4. განცხადების საფუძველზე შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის ფარგლებში იქმნება აკადემიურ გადაცდომათა შემსწავლელი დროებითი კომისია, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო;
5. აკადემიურ გადაცდომათა შემსწავლელი დროებითი კომისია განისაზღვრება კენტი რიცხვით, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ როგორც კონსერვატორიას, ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო, შემოქმედებით-სამეცნიერო, კვლევით დაწესებულებებს;

6. მოწვეული დარგის სპეციალისტის კომისიის მუშაობაში ჩართვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას: ა) პირის კვალიფიკაცია; ბ) გამოცდილება; დ) ინტერესთა კონფლიქტი;
7. აკადემიურ გადაცდომათა შემსწავლელი დროებითი კომისია უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის განაცხადსა და თანმხლებ დოკუმენტაციას კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
8. აკადემიურ გადაცდომათა შემსწავლელი დროებითი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით და გადაწყვეტილებას უგზავნის აკადემიურ საბჭოს.
9. აკადემიურ გადაცდომათა შემსწავლელი დროებითი კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებამდე და მის შემდგომ დაიცვას როგორც განმცხადებლის, ასევე აკადემიურ გადაცდომაში ბრალდებული პირის კონფიდენციალობა.
10. აკადემიურ გადაცდომათა შემსწავლელი დროებითი კომისია ანგარიშვალდებულია კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წინაშე;
11. აკადემიური გადაცდომის შესახებ ინფორმაცია ინახება სტუდენტის ან აკადემიური პერსონალის პირად საქმეში. ჩანაწერები კონფიდენციალურია და მხოლოდ დაკავშირებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი, რომლის თანხმობის გარეშე, კონსერვატორიას უფლება არ აქვს გასცეს ინფორმაცია მესამე პირებზე.

მუხლი 6. გადაწყვეტილების გასაჩივრება

პირი, რომლის მიმართაც აკადემიური გადაცდომის საფუძველზე განხორციელდა სანქციის დაკისრება, უფლებამოსილია გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებანი

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული APA (*American Physiological Association*) სტილის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება დაევალოს კონსერვატორიის ბიბლიოთეკას, სამეცნიერო დეპარტამენტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ნოემბრისა.

დანართი №1

პლაგიატზე შემოწმების წესი

1. კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემით – Ouriginal-ით სამეცნიერო/საკვალიფიკაციო ნაშრომის შემოწმებას უზრუნველყოფს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
2. კონსერვატორიის ბიბლიოთეკა წარმოადგენს კონსერვატორიის საზოგადოებასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას შორის საკონტაქტო ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს: ა) ნაშრომების მიწოდებას ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის ანტიპლაგიატის სისტემაში გატარების მიზნით; ბ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემა Ouriginal-ით შემოწმებული ნაშრომების შედეგების ავტორთათვის მიწოდებას; გ) ა და ბ პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების ვადაში შესრულებას; დ) აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით კონსულტაციებს.
3. კონსერვატორიის ბიბლიოთეკა აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის და/ან სტუდენტის მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს სამეცნიერო/საკვალიფიკაციო ნაშრომის და/ან სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული დავალებების ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის მიწოდებას მიმართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
4. კონსევატორიის ბიბლიოთეკა ვალდებულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან მიღებული შედეგების განმცხადებელთათვის მიწოდება უზრუნველყოს არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
5. საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაცვამდე სულ მცირე 6 კვირით ადრე მიმართოს ბიბლიოთეკას შუამდგომლობით ნაშრომის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაგზავნის შესახებ კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემით – Ouriginal-ით შემოწმების მიზნით. სტუდენტი ვალდებულია პასუხის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა შედეგი აცნობოს საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელს;
6. თუ მე-5 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის შედეგად მიღებული შედეგები ადასტურებს პლაგიატის შემთხევავას, სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული მითითებები დადგენილ ვადაში;

დანართი №2

საკვალიფიკაციო/სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების წესი

1. წინამდებარე წესი წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის ნაწილს და ვრცელდება საკვალიფიკაციო, საკურსო და კონსერვატორიის გამომცემლობის ფარგლებში გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სამეცნიერო ნაშრომებზე.
2. წინამდებარე წესის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული ნაშრომები შესრულებულ უნდა იქნას ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილის შესაბამისად.
3. საკვალიფიკაციო, საკურსო და სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურის შესაბამისად:
    - სატიტულო გვერდი;
    - განაცხადი;
    - აბსტრაქტი;
    - სარჩევი;
    - შესავალი (კვლევის მიზნები, ამოცანები, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის საგანი და ობიექტი, სიახლე);
    - ლიტერატურის მიმოხილვა;
    - მეთოდოლოგია;
    - კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები (არსებობის შემთხვევაში);
    - ძირითადი ნაწილი;
    - შედეგები და დასკვნა;
    - გამოყენებული ლიტერატურა;
    - დანართები (არსებობის შემთხვევაში);
4. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc/docx ფორმატში). ფაილის სახელწოდებად გამოტანილი უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მაგალითად: Maia.Metreveli.doc. ნაშრომის სრული ქართულენოვანი ტექსტი იკრიბება Sylfaen-ის, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი Times New Roman გარნიტურის გამოყენებით 12 ზომის შრიფტით და სტრიქონებს შორის 1.5 ინტერვალით. ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს მარცხენა მხარეს 3 სმ, ხოლო მარჯვენა მხარეს – 1 სმ. ზედა და ქვედა არეებიდან დაშორება უნდა შეადგენდეს 2-2 სანტიმეტრს.
5. ნაშრომის პირველი გვერდი წარმოადგენს სატიტულო ფურცელს. APA სტილი განარჩევს სატიტულო გვერდის გაფორმების ორ განსხვავებულ ვარიანტს სტუდენტთა საკვალიფიკაციო/საკურსო და პროფესიული სამეცნიერო ნაშრომებისათვის.

.

ა) სტუდენტთა საკვალიფიკაციო/საკურსო ნაშრომი

- სტუდენტის ნაშრომის სატიტულო გვერდი უნდა შეიცავდეს ნაშრომის სათაურს, ავტორის სახელს და ინსტიტუციის სრულ სახელწოდებას, სასწავლო კურსის ნომერს და სახელს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და შესრულების თარიღს. ნაშრომის სათაური დაწერილი უნდა იყოს გვერდის ცენტრში, მუქი შრიფტით. სათაური შეიძლება შეიცავდეს ერთ ან ორ სტრიქონს. სტრიქონებს შორის დაცული უნდა იყოს

მანძილი ორმაგი ინტერვალით. სატიტულო გვერდზე არ გამოიყენება ხაზგასმული, დახრილი ან გამუქებული ტექსტი. მხოლოდ სათაური შეიძლება იყოს მუქი შრიფტით. გვერდის დანომრვა უნდა მოხდეს ზედა მარჯვენა კუთხეში, სატიტულო გვერდის ჩათვლით

- სათაურის ქვეშ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი (მაგ., გიორგი დევდარიანი / George Devdariani), წოდებების ან/და ხარისხების გარეშე (მაგ: ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორანტი).
- იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომს ჰყავს ორი ავტორი (საკურსო ნაშრომის დროს) მათი მითითება ხდება და კავშირის გამოყენებით, შემდეგნაირად – გიორგი დევდარიანი და ნია ბათიაშვილი / George Devdariani and Nia Batiashvili;
- იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომს სამი ან მეტი ავტორი ჰყავს (საკურსო ნაშრომის დროს), თითოეული სახელი გამოიყოფა მძიმით, ხოლო ბოლო ავტორის წინ იწერება „და“ კავშირი – მაგ., გიორგი დევდარიანი, ნია ბათიაშვილი და ნინო ახალკაცი / George Devdariani, Nia Batiashvili and Nino Akhalkatsi;
- ავტორის სახელის ქვეშ მიეთითება: იმ მიმართულების და ფაკულტეტის დასახელება, სადაც ავტორ(ებ)მა ჩაატარა კვლევა, რასაც მოჰყვება უნივერსიტეტის სახელი, გამოყოფილი მძიმით (მაგ. მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულება, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია), კურსის დასახელება და ნომერი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი და შესაბამისი წოდება (დოქტორი, პროფესორი), ნაშრომის შესრულების დრო (თვე მიეთითება სიტყვიერად, მაგ: ნოემბერი 20, 2021). სტუდენტური ნაშრომი არ უნდა შეიცავდეს ავტორის შენიშვნას (სრული ნიმუში იხილეთ დანართში №2.1)

ბ) პროფესიული სამეცნიერო ნაშრომი

- სამეცნიერო პუბლიკაციისთვის სატიტულო გვერდის გაფორმება ხდება სტუდენტის ნაშრომის სატიტულო გვერდის მსგავსად, თუმცა პროფესიული ნაშრომი ასევე შესაძლოა შეიცავდეს ავტორის შენიშვნას.
- ავტორის შენიშვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ინსტიტუციის სახელწოდების ქვეშ, სათაურის გვერდის ქვედა ნახევარში და დაიყოს რამდენიმე აბზაცად. პირველი აბზაცი უნდა შეიცავდეს ავტორის სახელს, ORCID ID-ის სიმბოლოს და ORCID ID-ის URL-ს (არსებობის შემთხვევაში). მეორე აბზაცში მითითებული უნდა იყოს აფილირების სტატუსი. ამავე ველში ეთითება ავტორი, რომელიც ნაშრომის გამოქვეყნებამდე გარდაიცვალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მესამე პუნქტი უნდა შეიცავდეს ნებისმიერ ინფორმაციას, როგორიცაა კვლევის რეგისტრაცია, ინტერესთა კონფლიქტი, დამფინანსებელი ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ. მეოთხე აბზაცი უნდა შეიცავდეს შესაბამისი ავტორის საკონტაქტო ინფორმაციას.
- სამეცნიერო ნაშრომის ზედა კოლონტიტულში (Header) უნდა მიეთითოს სათაური, რაც შემდეგ გამოჩნდება ყველა გვერდზე (სრული ნიმუში იხილეთ დანართში №2.2).

6. **განაცხადი** - წარმოადგენს ნაშრომის სტრუქტურის ნაწილს, რომელიც მოსდევს სატუტულო გვერდს და იწერება ცალკე, დამოუკიდებელ გვერდზე. განაცხადში წარმოდგენილია სტანდარტული ტესტი, რომლითაც ავტორი აცხადებს, რომ იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და სტანდარტებს.

„როგორც წარგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცვას სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.“
ავტორის სახელი და გვარი (თვე, რიცხვი, წელი)

7. **აბსტრაქტი** - არის კვლევის მოკლე ანოტაცია. იწერება განაცხადის შემდეგ, ახალ გვერდზე. აბსტრაქტი უნდა შეიცავდეს მოკლე ინფორმაციას საკვლევი თემის და დასკვნების შესახებ. აბსტრაქტის მოცულობა შესაძლოა მერყეობდეს 100-დან 300 სიტყვამდე. ხაზებს შორის დაცული უნდა იყოს 1.5 ინტერვალი. სასურველია აბსტრაქტში არ იქნას გამოყენებული ციტირება.
   აბსტრაქტის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იქნას საკვანძო სიტყვები (მაგ: *საკვანძო სიტყვები:* სამუსიკო განათლება, საშემსრულებლო ხელოვნება, ფორტეპიანო, პედაგოგიკა), რომლებიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს იპოვონ ნაშრომი ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში.
   სავალდებულოა ნაშრომის აბსტრაქტი წარმოდგენილი იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზეც.
8. **სარჩევი** - შედგება თავებისა და ქვეთავებისაგან, რომელთაც თან ახლავთ შესაბამისი გვერდების ნომრები. სარჩევი განთავსებულია აბსტრაქტის შემდეგ და იწყება ახალი გვერდიდან. სარჩევი უნდა გაფორმდეს ძირითადი ტექსტის გაფორმებისთვის დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.
9. **შესავალი** - ისევე როგორც დასკვნა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს და შეიცავს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას კვლევის მიზნები, ამოცანები, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის საგნის, ობიექტი და სიახლე.
10. **ლიტერატურის მიმოხილვა** - არის კვლევითი ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი. აქ ხდება პირველწყაროების ან მეორეული წყაროების მიმოხილვა, რათა ავტორმა დაგვანახოს აქამდე არსებული კვლევები, მოსაზრებები, დებულებები და ხედვა, რაც შესაძლოა არსებობდა დღემდე იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ის იკვლევს. ასევე შესაძლებელია ეს იყოს პირველწყაროებისა და მეორეული წყაროების კრიტიკული ანალიზი.
    ლიტერატურის მომიხილვა იწყება ახალი გვერდიდან. ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი ციტირება უნდა შესრულდეს APA სტილის მიხედვით, ქვემოთ მოცემული მაგალითების შესაბამისად.
11. **მეთოდოლოგია** – ავტორმა დაწვრილებით და გასაგებად უნდა ახსნას კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია. ამ ნაწილში მკითხველი უნდა დარწმუნდეს, რომ მეთოდოლოგია შესატყვისია მოცემული საკითხის საკვლევად.
12. **კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები (ე.წ. Limitations)** - აღნიშნულ ნაწილში ავტორმა უნდა წარმოადგინოს კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ობიექტური ფაქტორები, რომლებმაც შეაფერხა კვლევა დაგეგმილი დიზაინის შესაბამისად განხორციელება.
13. **ძირითადი ნაწილი** - უნდა ასახავდეს კვლევის პროცესს, წარმოადგენილი იყოს თანმიმდევრული მსჯელობით, რომლის შედეგადაც კეთდება დასკვნები.
14. **შედეგები და დასკვნა** - უნდა ასახავდეს კვლევის მიღწევების თეზისებს, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს როგორც ნარატივის, ასევე ცხრილების, გრაფიკების,

სტატისტიკური და/ან სხვა მაჩვენებლების სახით, რომლებიც განმარტავენ გამოვლენილ ძირითად კანონზომიერებებს. საბოლოოდ, ავტორი აჯამებს კვლევას, ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას და წარმოადგენს დასკვნებს.

15. **ბიბლიოგრაფია** - გაფორმებული უნდა იყოს APA სტილის მიხედვით დანართში №2.3 მოცემული მაგალითების მიხედვით.

დანართი №2.1

სტუდენტური ნაშრომის სატიტულო გვერდის მაგალითი

ქრისტიანული საღვთისმსახურო მუსიკა XIX-XXI საუკუნეების თბილისში

გიორგი დევდარიანი

მუსიკის ისტორიის მიმართულება, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

MUS 3170: ქართული მუსიკის ისტორია

მარინა ქავთარაძე, პროფესორი

ნოემბერი 1, 2021

დანართი № 2.2.

პროფესიული ნაშრომის სატიტულო გვერდის მაგალითი

The Purdue Online Writing Lab's Sample Title Page:

Following the American Psychological Association's Guidelines

Polly Purdue and Purdue Pete

Purdue Online Writing Lab

Department of English, Purdue University

Author Note

Polly Purdue https://orcid.org/#####

Purdue Pete https://orcid.org/######

Purdue Pete is now at the Department of Philosophy, Purdue University.

We have no conflicts of interests to disclose.

Correspondence concerning this article should be addressed to Purdue Pete, 150 N. University St., West Lafayette IN 47907. Email: ___@purdue.edu

APA სტილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკადემიური ფსიქოლოგების მთავარმა სამეცნიერო ასოციაციამ, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ (APA) შეიმუშავა სტარდარტი APA - სტანდარტიზირებული მეთოდი კვლევის პროცესში გამოყენებული ბეჭდური და ელექტრონული წყაროების ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის მიზნით.

წიგნი ერთი ავტორით ნიმუში:

ავტორის გვარი, სახელი. (წელი). *წიგნის სათაური.* გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

მაგალითი:

1. მაშია, ნ. (2019) *ლიტერატურისა და მედიის ენობრივი თავისებურება XXI საუკუნეში*, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. Chitty, D. (2003). *Do lemmings commit suicide? Beautiful hypotheses and ugly facts*. New York, NY: Oxford University Press.

წიგნი ორი ან მეტი ავტორით
ნიმუში:

პირველი ავტორის გვარი, სახელი და მეორე ავტორის გვარი, სახელი. თუ მეტი ავტორია პირველი ავტორის გვარი, სახელი. მეორე ავტორის გვარი, სახელი და ა.შ. (წელი). *წიგნის სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცელობა.

მაგალითი:

გელაშვილი, მ., და გუჯეჯიანი, ი. (2018) *სვანიზმები ოსურში,* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა
Rosellini, G., & Worden, M. (2004). *Of course you're angry: A guide to dealing with the emotions of substance abuse* (Rev. ed.). Center City, MN: Hazelden.

წიგნი ავტორთა ჯგუფით, DOI-ის მითითებით
ნიმუში:

ავტორთა ჯგუფი ან ჯგუფის სახელწოდება. (წელი). *წიგნის სათაური.* გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. doi:XXX.XXXXXXXX

მაგალითი:

Children's Express. (2009). *Voices from the future: Our children tell us about violence in America.* New York, NY: Crown. doi:10/1023/10452-000

წიგნი უცნობი ავტორით

ნიმუში:
წიგნის სათაური. (წელი). გამოცემის ადგილი: გამომცემლობა.

მაგალითი:
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია. (2018). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა
The alternative medicine handbook. (1994). New York: Crescent Books.

წიგნი ძირითადი კლასიკური ნაწარმოები

ასეთი სახის ლიტერატურას მიეკუთვნება ძველი ბერძნული და რომაული კლასიკური რელიგიური ნაწარმოებები, როგორიც არის ბიბლია და ყურანი. ამიტომ მათი ციტირება უნდა მოხდეს ტექსტში. ეს გამოცემები თითქმის ყოველთვის დანომრილია და გამოიყენეთ ეს ნომრები ნაცვლად გვერდის ნომრებისა, როცა აკეთებთ ტექსტის რომელიმე ნაწილის ციტირებას.

წიგნი რედაქტორით
რედაქტორის გვარი, სახელი.(რედ.). (გამოცემის წელი). (სათაური). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

მაგალითი:
1. გურჩიანი, ი. (რედ.). (2015), *თბილისის ურბანული განვითარება,* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2. Moen, P., Elder, G., & Luscher, K. (Eds.). (1995). *Examining lives in context: Perspectives on the ecology of human development*. Washington, DC: American Psychological Association.

წიგნის თავი, რომელიც გამოყენებულია სააქრივე ტიპის ელბაზებიდან

Price, J. (1934). Bret Easton Ellis: Overview. In S. W. Brown (Ed.), *Contemporary novelists* (DX Reader version). Retrieved from Literature Resources from Gale database.

სტატია ელექტრონულ ჟურნალში
ნიმუში:

ავტორის გვარი, სახელი / ან ფსევდონიმი. (წელი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სახელი*, ტომის ნომერი (გამოცემის ნომერი), გვერდის ნომერი დასაწისი-დასასრული. ელვერსიის ბმული. ბოლო ნახვა: რიცხვი.თვე. წელი

მაგალითი:
1. Algoodkar, S., & G., S. (2019). Impact of Music Therapy in Reducing the Severity of Depression Measured by MADRS among Depression Patients: A Randomized Control Study. *International Archives of Integrated Medicine*, *6*(1), 41–47. Retrieved from http://search.ebscohost.com/login.aspx?direct=true&db=afh&AN=134365859&site=ehost-live

2. Crainer S., & Dearlove D. (2003). Windfall economics. *Business Strategy Review*, *14*(4), 68-72. https://doi.org/10.1111/j.2003.00288.x

მონოგრაფიის მაგალითი

Ganster, D. C., Schubroeck, J., Sime, W. E., & Mayes, B. T. (1991). The nomological validity of the Type A personality among employed adults [Monograph]. *Journal of Applied Psychology, 76*, 143-168. http://dx.doi.org/10.1037/0021-9010.76.1.143

ანთოლოგიის მაგალითი

ავტორის გვარი, სახელი. (გამოცემის წელი). ნაწილის სათაური. რედაქტორის გვარი, სახელი. (რედ.), *ანთოლოგიის სათაური* (ტომ.ტომის ნომერი, საჭიროების შემთხვევაში გვერდის ან გვერდების ნომერი). გამოცემის ადგილი: გამომცემელი.

მაგალითი:
Updike, J. (2005). Reading Trends. In M. Meyer (Ed.), *The Bedford Introduction to literature: Reading, thinking and writing* (Vol. 1, p. 307). New York, NY: Greenwood Press.

ონლაინ ენციკლოპედია ან ლექსიკონი, რომელსაც არა აქვს გამოცემის წელი

ავტორის გვარი, სახელი.(გამოცემის თარიღი უცნობია). (n.d. for no date). ტერმინი. ენციკოლპედიაში *ენციკლოპედიის სათაური* (თუ არ არის ტომები ან გვერდების დანომრვა ამ მოცემლი ნაწილის, გამოიყენეთ გამოცემის ინფორმაცია). მიუთითეთ ბმული (URL) ან გამომცემლის ოფიციალური ვებგვერდი. Retrieved from URL or home page URL of book publisher (NOTE: Do not end URL with a period.) See APA manual (6th ed.), p. 205, #30

მაგალითი:
Tavris, C. (n.d.). Queen bee syndrome. In *Women's studies encyclopedia* (Fall 2007 ed.). Retrieved from http://www.stanford.edu/entries.readingtrends

ენციკლოპედიის ან ლექსიკონის ბეჭდური ვერსია, რომელსაც ჰყავს რედაქტორი ან შემდგენელი

შემდგენენლის ან რედაქტორის გვარი, სახელი.[1] (შემდგენელი ან რედაქტორი). (გამოცემის წელი). ტერმინი. ენციკლოპედიაში *ენციკლოპედიის სრული სათაური.* (ტომი. ტომის

[1] სარედაქციო კოლეგიის შემთხვევაში მიუთითეთ მთავარი ან პასუხისმგებელი რედაქტორის გვარი, სახელი. სარედაქციო კოლეგიის (ჯგუფის) შემთხვევაში იწერება პირველი რედაქტორის გვარი, სახელი და სხვები.

ნომერი, თუ საჭიროა გვერდი ან გვერდები დასაწყისი-დასასრული). გამოცემის ადგილი: გამომცემლობა.

მაგალითი:
Sadie, Stanley. (Ed). (1980). Vis-pianoforte. ენციკლოპედიაში *The new grove dictionary of music and musicians.* (ტომი.20, გვ.17). London: Macmillan Publishers Limited.

ენციკლოპედიის ან ლექსიკონის ბეჭდური ვერსია, რომელსაც არა ყავს ავტორი, შემდგენელი ან რედაქტორი

ტერმინი. (გამოცემის წელი). ენციკლოპედიაში ენციკლოპედიის სრული სათაური (ტომი. ტომის ნომერი, თუ საჭიროა გვერდი ან გვერდები დასაწყისი-დასასრული). გამოცემის ადგილი: გამომცემლობა.

მაგალითი:
Eschatology. (1982). In *Webster's new world dictionary of the American language* (2nd ed.).
New York, NY: Simon and Schuster.

სტატია ჟურნალში
ნიმუში:

ავტორის გვარი, სახელი / ან ფსევდონიმი. (წელი, თვე). სტატიის სათაური. *ჟურნალის სახელი*, ტომის ნომერი (გამოცემის ნომერი), გვერდის ნომერი დასაწისი-დასასრული.

მაგალითი:

Carter, A., & Holmes, S. (2007, February). Curiously strong teamwork. *Business Week*, (4023), 90–92.

სტატია გაზეთში ნიმუში:
ავტორის გვარი, სახელი / ან ფსევდონიმი. (წელი, თვე რიცხვი). სტატიის სათაური. *გაზეთის სახელი*, გვერდის ნომერი დასაწისი-დასასრული (ან თუ არ არის დასრულებული (არ არის დასრულებული).

მაგალითი:

Latour, A., Young, S., Drucker, J., & Berman, D. K. (2005, January 31). SBC reaches tentative pact to acquire AT&T for $16 billion. *Wall Street Journal* – Eastern Edition, pp. A1, A12.

წიგნის თავი ნიმუში:
ავტორის გვარი, ავტორის სახელი / ან ფსევდონიმი. (გამოცემის წელი). თავის სათაური. რედაქტორის გვარი, რედაქტორის სახელი /ან ფსევდონიმი, (პასუხისმგებელი პირის სახელი

გვარი, წიგნის სათაური (გვერდების ნომერი დასაწყისი- დასასრული). გამოცემის ადგილი: გამომცემლის სახელი (გამომცემელი).

მაგალითი:

Belsky, J. (1992). The research findings on gender issues in aging men and women. In B. R. Wainrib (Ed.), *Gender issues across the life cycle* (pp. 163–171). New York, NY: Springer Publishing Co.

ელექტრონული წიგნი ნიმუში:

ავტორის გვარი, სახელი / ან ფსევდონიმი ინიციალები. (გამოცემის წელი). *ელექტრონული წიგნის სათაური*. ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი ან ამოღებულია [URL] - დან

მაგალითი: Thorbeck, D. (2019). *Agricultural landscapes: Seeing rural through design*. Retrieved from http://search.ebscohost.com

გამოქვეყნებული საკონფერენციო ნაშრომი (მასალები)
ნიმუში:

ავტორის გვარი, ავტორის სახელი / საშუალო სახელი ან ინიციალები. (გამოცემის თარიღი). კონფერენციის ფურცლის სათაური. *კონფერენციის სახელწოდება*, (გვ. გვერდის ნომერი დასაწყისი - დასასრული). გამოცემის ადგილი: გამომცემლის სახელი. დიგიტალური ობიექტის იდენტიფიკატორი ანუ ბმული

მაგალითი:

Pierson, E., Althoff, T., & Leskovec, J. (2018). Modeling individual cyclic variation in human behavior. *Proceedings of the 2018 World Wide Web Conference*, (pp. 107–116). Republic and Canton of Geneva, Switzerland: International World Wide Web Conferences Steering Committee. https://doi.org/10.1145/3178876.3186052

ვებსაიტი (ვებ-გვერდის) ნიმუში:

ორგანიზაციის სახელი ან ავტორის გვარი, ავტორის სახელი /საშუალო სახელი/ფსევდონიმი ან ინიციალები. გამოქვეყნების თარიღი ან ბოლო ნახვის თარიღი იმ შემთხვევაში თუ გამოქვეყნების თარიღი არ არის მითითებული. ვებგვერდის სათაური აღებულია [URL] - დან

მაგალითი:
IBM. (n.d.). Energy and environment. Retrieved from https://www.ibm.com/ibm/green/

სათაურის ფორმატი

APA გამოყოფოს 5 დონის სათაურს.

სათაური	
დონე	**ფორმატი**
1	**ძირითადი სათაური (იწერება ცენტრში, მუქი შრიფტით)** ტექსტი იწყება ახალი აბზაციდან
2	**მეორე დონის სათაური (იწერება მარცხენა მხარეს, მუქი შრიფტით)** ტექსტი იწყება ახალი აბზაციდან
3	***მესამე დონის სათაური (იწერება მარცხენა მხარეს, მუქი დახრილი შრიფტით)*** ტექსტი იწყება ახალი აბზაციდან
4	**მეოთხე დონის სათაური (იწერება მეასმე დონის სათაურთან შედარებით შეწეული ნახევარი ინტერვალით მარჯვნივ, მუქი შრიფტით) სათაურის ბოლოს წერტილი.** ტექტი იწყება იმავე ხაზიდან.
5	***მეხუთე დონის სათაური (იწერება მეასმე დონის სათაურთან შედარებით შეწეული ნახევარი ინტერვალით მარჯვნივ, მუქი დახრილი შრიფტით) სათაურის ბოლოს წერტილი.*** ტექტი იწყება იმავე ხაზიდან.

ნიმუში

Method (Level 1)

Site of Study (Level 2)

Participant Population (Level 2)

Teachers (Level 3)

Students (Level 3)

Results (Level 1)

Spatial Ability (Level 2)

Test One (Level 3)

Teachers With Experience. (Level 4)

Teachers in Training. (Level 4)

Teaching Assistants. (Level 5)

Test Two (Level 3)

Kinesthetic Ability (Level 2)